საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გვერდნი

გვერდნი, გუერდნი, საგალობელთა კრებული. ქრისტიანულ ეკლესიაში ლიტურგიკულ ჰიმნთა რამდენიმე კრებული არსებობდა. ეს ჰიმნები ემყარებოდა მუს. ბგერათა გარკვეულ სისტემას. თავდაპირველად ბიზანტიაში საგალობლები ოთხი ხმის სისტემას ემყარებოდა. VIII ს-ში იოანე დამასკელმა ამ ოთხ ხმას, რ-თაც „ექოჲ კვირიოჲ“ (ქართულად „ჴმანი უფალნი“ ანუ „მთავარნი“) ეწოდებოდა, დაუმატა ოთხი სხვა ხმა, რ-თაც „ექო პლაგიო“ (ქართულად „ჴმანი გვერდითნი“) ეწოდა.

ქართულ საგალობელთა კრებულები ორ წიგნად იყო დაყოფილი უშუალოდ ხმების მიხედვით. პირველში მოთავსებული იყო 4 ძირითადი (ავთენტიკური) ხმის ჰიმნები და ეწოდებოდა „ჴმანი“, მეორეში – დანარჩენი 4 დამხმარე (პლაგალური) ხმის ჰიმნები და „გუერდნი“ ერქვა. იხ. აგრეთვე ოქტოიხოსი.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ე., ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, თბ., 1971.

კ. როსებაშვილი